

თარგმანი კორექტირებულია საქართველოს პარლამენტის
2006 წლის 9 ივნისის N 3250 – ს დადგენილებით

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმომწერი მთავრობები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრები,

ითვალისწინებენ 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გაცხადებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას;

მხედველობაში იღებენ, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას;

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა და რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი განხორციელება;

კვლავ აღასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება სამართლიანობა და მშვიდობა მსოფლიოში და რომელთა დაცვა საუკეთესოდ ხორციელდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან;

როგორც მთავრობები იმ თანამოაზრე ევროპული ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, შემართულნი არიან, გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის, და

თანმხლებიან შემდეგზე:

მუხლი I

ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

თავი I – უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 2

სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის

სიცოცხლე არ შეიძლება განმრავლდეს იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოცხადებული სასიკვილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

- a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
- b) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
- c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

მუხლი 3 წამების აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

მუხლი 4 მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

- 1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში;
- 2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება;
- 3. ამ მუხლის მნიშვნელობით ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო“ არ მოიცავს:

a) ნებისმიერ სამუშაოს, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ სავალდებულოა პატიმრობისას, რომელიც შეფარდებულია წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავსუფლების განმავლობაში;

b) სამხედრო ხასიათის ნებისმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვალდ დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამისის გამო, სამხედრო სამსახურის გავლამზე უარის თქმის უფლება აღიარებულია;

c) ნებისმიერ სამსახურს, რომელიც დაკისრებულია საგანგებო მდგომარეობის ან უბედურების დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;

d) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.

მუხლი 5 თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით

განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

a) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება;

b) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებმოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველიანი ეჭვი, ან საფუძველიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

d) არსრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

e) პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება;

f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (c) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 6

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან

ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა მიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

d) დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

მუხლი 7.

არავეითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.

2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებასა და დასჯას რომელიმე მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის მიიჩნეოდა დანაშაულად ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 8

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური

კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 9

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შემზღვევებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო სამღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შემზღვევებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიღუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესები დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შემზღვევის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი

უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.

მუხლი 12

ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფელა, ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებს ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13

სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება

ყველას ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

მუხლი 15

გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გააგაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გადახვევის მიზნით, მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე, და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მხარის სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს.

2. დაუშვებელია ამ დებულების საფიძველზე გადახვევა მე-2 მუხლიდან, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე გადახვევა მე-3, მე-4 (1-ლი პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან.

3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის სრულ ინფორმაციას მის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი აგრეთვე აცყობინებს

ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა ხელახლა სრულად ამოქმედების თარიღს.

მუხლი 16

უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებში არაფერი განიხილება ხელის შემშლელად, დააწესონ შეზღუდვა უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

მუხლი 17

უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, არარად აქციოს კონვენციით განსაზღვრული რომელიმე უფლება თუ თავისუფლება ან შეზღუდოს ის იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული.

მუხლი 18

უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.

თავი II - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მუხლი 19

სასამართლოს დაარსება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად არსდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, შემდგომში მოხსენიებული როგორც "სასამართლო". სასამართლო მუდმივმოქმედი ორგანოა.

მუხლი 20

მოსამართლეთა რაოდენობა

სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობის თანაბარია.

მუხლი 21

კრიტერიუმები სამოსამართლო თანამდებობისათვის

1. მოსამართლეებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი მნეობრივი თვისებები და, ან უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღარებული კომპეტენტურობის მქონე სამართლმცოდნეები.

2. მოსამართლეები სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებენ თავიანთი ინდივიდუალური უფლებამოსილებით.

3. მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში არ უნდა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან; ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს წყვეტს სასამართლო.

მუხლი 22 **მოსამართლეთა არჩევა**

1. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისგან შემდგარი სიიდან მოსამართლეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა.

2. იგივე პროცედურა გამოიყენება სასამართლოს შემადგენლობის შევსებისას კონვენციასთან ახალი ხელშემკვრელი მხარეების შეერთების ან გაუთვალისწინებელი ვაკანსიების გაჩენის შემთხვევაში.

მუხლი 23 **უფლებამოსილების ვადა**

1. მოსამართლეებს ირჩევენ ექვსი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელახლა აირჩნენ, თუმცა პირველ არჩევნებში არჩეულ მოსამართლეთა ნახევარს უფლებამოსილების ვადა ამოეწურება სამი წლის შემდეგ.

2. იმ მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილების ვადა თავდაპირველი სამი წლის შემდეგ ამოეწურებათ, მათი არჩევისთანავე წილის ყრის მეშვეობით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

3. იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნეს ყოველ სამ წელიწადში მოსამართლეთა შემადგენლობის ნახევრის განახლება, საპარლამენტო ასამბლეას ყოველი მომდევნო საარჩევნო პროცედურის დაწყებამდე შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ექვსი წლით კი არ განისაზღვროს, არამე სხვა ვადით, მაგრამ არა უმეტეს ცხრა და არანაკლებ სამი წლისა.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი შეეხება უფლებამოსილების ერთზე მეტ ვადას და საპარლამენტო ასამბლეა იყენებს წინა პუნქტს, თითოეული უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობას არჩევნების დამთავრებისთანავე წილის ყრით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

5. იმ მოსამართლის თანამდებობას, რომლის უფლებამოსილების ვადა ამოწურული არ არის, იკავებს მის ნაცვლად არჩეული მოსამართლე წინამორბედის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

6. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა იწურება 70 წლის ასაკის მიღწევისთანავე.

7. თანამდებობაზე მოსამართლეები რჩებიან მათ შეცვლამდე. თუმცა, ისინი

აგრძელებენ იმ საქმეთა განხილვას, რომლებიც მათ ჰქონდათ წარმოებაში უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 24 **თანამდებობიდან გათავისუფლება**

მოსამართლე არ შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 25 **სამდივნო და იურისტი რეფერენტები**

სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია დადგენილია სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლოს თანაშემწეობას უწევენ იურისტი რეფერენტები.

მუხლი 26 **სასამართლოს პლენარული სხდომა**

პლენარულ სხდომაზე სასამართლო:

- a) ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელახლა აირჩნენ;
- b) ქმნის პალატებს, განსაზღვრული ვადით;
- c) ირჩევს სასამართლო პალატების თავმჯდომარეებს. ისინი შეიძლება ხელახლა აირჩნენ;
- d) იღებს სასამართლოს რეგლამენტს, და
- e) ირჩევს სამდივნოს უფროსს და მის ერთ ან ორ მოადგილეს.

მუხლი 27 **კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა**

1. სასამართლოში წარდგენილ საქმეებს განიხილავენ კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი და დიდი პალატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლოს პალატები ქმნიან კომიტეტებს განსაზღვრული ვადით.

2. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც *ex officio* წევრი, ან თუ ასეთი მოსამართლე არ არის, ან ვერ მონაწილეობს მოცემული საქმის განხილვაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირი.

3. დიდ პალატას აგრეთვე შეადგენენ: სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატების თავმჯდომარეები და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის საფუძველზე, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების გამომგანი ვერც ერთი

მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოებიდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.

მუხლი 28 **განაცხადის დაუშვებლად გამოცხადება** **კომიტეტების მიერ**

კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამოაცხადოს დაუშვებლად ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადი, თუ განჩინების მიღება შესაძლებელია საქმის შემდგომი განხილვის გარეშე. ასეთი განჩინება საბოლოოა.

მუხლი 29 **პალატების გადაწყვეტილებები განაცხადის** **დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ**

1. თუ განჩინება არ არის მიღებული 28-ე მუხლის საფუძველზე, პალატა იღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადთა დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.

2. პალატა იღებს გადაწყვეტილებას 33-ე მუხლის თანახმად წარდგენილ სახელმწიფოთაშორის განაცხადთა დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.

3. განჩინება დასაშვებობის შესახებ მიიღება ცალკე, თუ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მუხლი 30 **იურისდიქციის გადაცემა დიდი პალატისათვის**

თუ პალატაში განსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოგანამდე ნებისმიერ დროს თავისი იურისდიქცია გადასცეს დიდ პალატას, თუ საქმის არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ არის.

მუხლი 31 **დიდი პალატის უფლებამოსილება**

დიდი პალატა:

a) განიხილავს 33-ე ან 34-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ განაცხადებს, როდესაც მას თავის იურისდიქციას გადასცემს პალატა 30-ე მუხლის შესაბამისად, ან, როდესაც განაცხადი მას გადაეცემა 43-ე მუხლის საფუძველზე; და

b) განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ თხოვნებს საკონსულტაციო დასკვნების შესახებ.

მუხლი 32

სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა, როგორც ეს გათვალისწინებულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.

2. სასამართლო იურისდიქციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სადავო საკითხს თავად სასამართლო წყვეტს.

მუხლი 33

სახელმწიფოთაშორისი საქმეები

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნებისმიერი სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მუხლი 34

ინდივიდუალური განაცხადი

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 35

დასაშვებობის წინაპირობები

1. სასამართლოს შეუძლია საქმე მიიღოს განსახილველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიერებული ნომრების თანახმად, და თუ გასული არ არის ექვსი თვე, საქმეზე შიდასახელმწიფოებრივი საბოლოო გადაწყვეტილების გამოგანის თარიღიდან.

2. სასამართლო არ განიხილავს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ არც ერთ განაცხადს, რომელიც:

a) ანონიმურია; ან

b) არსებითად იგივეა და სასამართლოს მიერ უკვე განხილულია, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა ინსტანციას და არ შეიცავს შესაგყვის ახალ ინფორმაციას.

3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადს, რომელსაც მიიჩნევს შეუთავსებლად კონვენციასა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებლად, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად.

4. სასამართლო უკუაგდებს ნებისმიერ განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს დაუშვებლად ამ მუხლის საფუძველზე. ამის უფლება მას აქვს სამართალწარმოების

ნებისმიერ სტადიაზე.

მუხლი 36 **მესამე მხარის ჩართვა**

1. პალატის ან დიდი პალატის განსახილველ ყველა საქმეზე, მაღალ ხელშემაკვრელ მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება აქვს, წარადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.

2. მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს თემჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემაკვრელი მხარე, რომელიც არ არის პროცესის მინაწილე ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის განმცხადებელი, წერილობითი კომენტარების წარსადგენად ან საქმის მოსმენებში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 37 **განაცხადების ამორიცხვა**

1. სასამართლოების ნებისმიერ საგადასმელ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, ამორიცხოს განაცხადი საქმეთა ნუსხიდან, თუ გარემოებებზე დაყრდნობით ის დაასკვნის, რომ:

a) განმცხადებელს აღარ აქვს განზრახული, ბოლომდე მისდოს თავის განაცხადს; ან

b) დავა გადაწყდა; ან

c) სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით განაცხადის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული.

თუმცა სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, ალადგინოს განაცხადი საქმეთა ნუსხაში, თუ იგი ჩათვლის, რომ გარემოებებიდან გამომდინარე ამგვარი ქმედება გამართლებულია.

მუხლი 38 **საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა**

1. თუ სასამართლო აცხადებს განაცხადს დაშვებულად, ის:

a) განაგრძობს საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთდ და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები მას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალებით;

b) სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების მისაღწევად კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე.

2. 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.

მუხლი 39 **მორიგების მიღწევა**

თუ მიღწეულია მორიგება, სასამართლო საქმეს ამორიცხავს საქმეთა ნუსხიდან შესაბამისი განჩინებით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების მოკლედ გადმოცემით შემოაფარგლება.

მუხლი 40 **ღია სასამართლო მოსმენა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა**

1. სასამართლო მოსმენები ღიაა, თუ გამონაკლის შემთხვევაში სასამართლომ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

2. სამდივნოს უფროსთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თვამჯდომარემ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

მუხლი 41 **სამართლიანი დაკმაყოფილება**

თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.

მუხლი 42 **პალატების გადაწყვეტილებები**

პალატების გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 43 **ღივი პალატისათვის საქმის გადაცემა**

1. პალატის გადაწყვეტილების გამოგანის დღიდან სამი თვის ვადაში საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია ითხოვის საქმის ღივი პალატისათვის გადაცემა.

2. ღივი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტების ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან ზოგადი მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს.

3. თუ კოლეგია აკმაყოფილებს თხოვნას, ღივი პალატა საქმეს გადაწყვეტს გადაწყვეტილების გამოგანით.

მუხლი 44

საბოლოო გადაწყვეტილება

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.
2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება:
 - a) როდესაც მხარეები აცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის გადაცემას დიდი პალატისათვის; ან
 - b) პალატის გადაწყვეტილების გამოგანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ წარდგენილა; ან
 - c) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს 43-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი გადაცემის თხოვნის დაკამყოფილებაზე.
3. საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნდება.

მუხლი 45

გადაწყვეტილებისა და განჩინების დასაბუთება

1. სასამართლოს გადაწყვეტილება, აგრეთვე განჩინება, რომელიც განაცხადს დაშვებულად ან დაუშვებლად აცხადებს, უნდა იყოს დასაბუთებული.
2. თუ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს განსაკუთრებული აზრი.

მუხლი 46

გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.
2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ბედამხედველობს მის აღსრულებას.

მუხლი 47

საკონსულტაციო დასკვნები

1. სასამართლოს შეუძლია, მინისტრთა კომიტეტის თხოვნით გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას.
2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის I თავითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა და თავსუფლებათა შინაარსთან ან ფარგლებთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, ან სხვა ისეთ საკითხს, რომელიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს, შესაძლოა, უნდა განეხილა ნებისმიერი ისეთი სამართალწარმოების შედეგად, რომელიც შეიძლებოდა აღძრულიყო კონვენციის შესაბამისად.
3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნის თხოვნის შესახებ მიიღება კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 48
სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია

სასამართლოს გადასაწყვეტია, განეკუთვნება თუ არა სასამართლოს კომპეტენციას მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია 47-ე მუხლით.

მუხლი 49
საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული.
2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს განსაკუთრებული აზრი.
3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50
სასამართლოს შენახვის ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს გაიღებს ევროპის საბჭო.

მუხლი 51
მოსამართლეთა პრიველეგიები და იმუნიტეტი

თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლეები სარგებლობენ პრიველეგიებითა და იმუნიტეტით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლითა და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებებით.

თავი III – სხვადასხვა დებულებანი

მუხლი 52
გენერალური მდივნის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოთხოვნით, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე წარმოადგენს განმარტებას, თუ რაგზით უზრუნველყოფს მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 53
აღამიანის აღიარებულ უფლებათა უზრუნველყოფა

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს აღამიანის ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავსუფლება, რომელთა უზრუნველყოფა შეიძლება ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარის

კანონმდებლობით ან რომელიმე სხვა შეთანხმებით, რომლის მონაწილეც ის არის.

მუხლი 54

მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ ხლყოფს მინისტრთა კომიტეტისათვის ევროპის საბჭოს წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 55

დავების მოგვარების სხვა საშუალებათა უარყოფა

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სპეციალური შეთანხმებით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი არ ისარგებლებენ მათ შორის მოქმედი ხელშეკრულებებით, კონვენციებითა და დეკლარაციებით, რათა ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული დავა, საჩივრის წარდგენის გზით, განსახილველად დაუქვემდებარონ მოგვარების სხვა საშუალებებს, გარდა ამ კონვენციით გათვალისწინებულისა.

მუხლი 56

გერიგორიული გამოყენება

1. კონვენციის რატიფიცირებისას ან შემდგომში, ნებსმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეგყობინების მეშვეობით, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, ვრცელდება მის ყველა ან რომელიმე გერიგორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

2. შეგყობინებაში მითითებულ გერიგორიაზე ან გერიგორიებზე კონვენცია გავრცელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეგყობინების მიღებიდან ოცდამეათე დღიდან.

3. თუმცა ასეთ გერიგორიებზე კონვენციის დებულებათა გამოყენება მოხდება ადგილობრივი მოთხოვნების სათანადოდ გათვალისწინებით.

4. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებსმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე გერიგორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 57

დათქმები

1. ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიცირების სიგელის დეპონირებისას, ნებსმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ, თუ მის გერიგორიაზე ამ დროს მოქმედი რომელიმე კანონი არ შეესაბამება ამ დებულებას. ზოგადი ხასიათის დათქმები ამ მუხლით

დაუშვებელია.

2. ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის მოკლედ გადმოცემას.

მუხლი 58 დენონსირება

1. მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება მის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან მხოლოდ ხუთი წლის გასვლის შემდეგ და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეგვობინების გაგზავნიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ამის შესახებ სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.

2. დენონსირება არ ათავსუფლებს შესაბამის მაღალ ხელშემკვრელ მხარეს ამ კონვენციით ნაკსრი ვალდებულებებისაგან ისეთი ქმედებისათვის, რომელიც იწვევს ამ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევას და შეიძლება მას ჩაედინა დენონსირების ძალაში შესვლამდე.

3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც წყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, იმავე პირობების თანახმად, ვერც კონვენციის მონაწილე მხარე იქნება.

4. კონვენციის დენონსირება შეიძლება მოხდეს წინა პუნქტების დებულებათა შესაბამისად ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, რომელზეც მისი მოქმედების გავრცელება გამოცხადდა 56-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 59 ხელმოწერა და რატიფიცირება

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას. რატიფიცირების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების ათი სიგელის დეპონირების შემდეგ.

3. იმ ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, კონვენცია ძალაში შედის რატიფიცირების სიგელის დეპონირების დღიდან.

4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცვობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრს კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ, იმ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა თაობაზე, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, და რატიფიცირების ყველა სიგელის დეპონირების შესახებ, რაც შეიძლება განხორციელდეს შემდგომში.

შესრულებულია რომში 1950 წლის 4 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის თითოეულ ხელმომწერს.